

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	2 935 300	2 495 276
სხვა შემოსავლები	30 840	29 303
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	20 988	2 142
მარაგის შეძენა	(504 987)	(442 910)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრელოს ხარჯი	(1 651 208)	(1 391 114)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(164 320)	(172 676)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	(235 573)	(170 481)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(131 121)	(150 590)
სხვა ხარჯი	(7 140)	(9 075)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	292 779	189 875
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(504)
ფინანსური ხარჯი	(4 797)	(3 158)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	287 982	186 213
მოგების გადასახადი	(521)	
წმინდა	287 461	186 213

-

-

დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2018	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 199 589	2 885 770
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(610 728)	(764 342)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1 144 275)	(1 423 706)
სხვა საოპერაციო საქმიანობაზე გაცემული		(51 900)

მომწოდებელზე გადახდილი ავანსი		(46 463)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული	<u>444 586</u>	<u>599 359</u>
გადახდილი გადასახადები	<u>(304 278)</u>	<u>(370 244)</u>
საპენსიო შენატანი		(14 351)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო	<u>140 308</u> <u>140 308</u>	<u>214 764</u> <u>214 764</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(107 113)	(116 925)
კაპიტალიზირებული ხარჯები		(52 735)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის	<u>(107 113)</u>	<u>(169 660)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	-	-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	<u>(504)</u>	<u>(3 456)</u>
გადახდილი გადასახადები	(3 000)	(21 946)
ვალდებულებათა განადგება		(11 360)
ვალდებულებების განადგება	(3 000)	(3 324)
გადახდილი პროცენტები		
ფულადი სახსრების და მათი	<u>29 691</u>	<u>5 018</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	<u>(3 816)</u>	<u>(30 507)</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	<u>33 507</u>	<u>35 525</u>

დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ ებელი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2016 წაშთი	20 435	282 195	302 630
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	201 862	201 862
მოცემული პერიოდის წმინდა	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2017 წაშთი	20 435	484 057	504 492
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	186 213	186 213
მოცემული პერიოდის წმინდა	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2019 წაშთი	20 435	959 596	980 031

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	450 301	401 073	374 213
სხვა გრძელვადიანი აქტივები		109 248	97 650	121 835
არამატერიალური აქტივები	8	3 635	4 336	358
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>563 184</u>	<u>503 059</u>	<u>496 406</u>

მიმდინარე აქტივები						
მარაგი	9	29 110		8 122		5 980
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	941 102		855 271		667 536
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-				
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	35 525		30 507		3 180
სულ მიმდინარე აქტივები			1 005 738		893 900	677 332
სულ აქტივები			1 568 922		1 396 959	1 173 738
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები						
საკუთარი კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი		20 435		20 435		20 435
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		959 596		670 270		484 057
სულ საკუთარი კაპიტალი			980 031		690 705	504 492
გრძელვადიანი ვალდებულებები						
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	44 259		8 360		14 360
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			44 259		8 360	14 360
მოკლევადიანი ვალდებულებები						
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	459 026		587 752		526 682
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		85 606		110 142		128 204
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			544 632		697 894	654 886
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			1 568 922		1 396 959	1 173 738
			(0,33)		-	-

სს „ქობულეთის სამედიცინო ცენტრი“ს სააღრიცხვო პოლიტიკა
და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ვამტკიცებ

სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრის
ფინანსური დირექტორი
2019 წლის დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ (რეგისტრაციის ნომერი ს/ნ 446955484 ქ. ქობულეთში (იურიდიული მის: თ. მეფის ქ.24, ფაქტიური მის: თბილისის ქ.31), დაფუძნებულია 22 აქციონერის მიერ;

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურების მიწოდება, ჯანმრთელობის დაცვა;

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი;

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამოიმუშავებული.

შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება მეტო ღირებულებით;

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტობრივად დაფარვის მომენტისა;

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება სხვა მიზნით დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით;

4. მოთხოვნები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;

მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საექვო მოთხოვნების თანხით;

საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წმინდა რეალიზაციიდან წარსული გამოცდილების საშუალებით;

5. ვალდებულებები

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც საზოგადოებას მოუწევს;

6. ძირითადი საშუალებები

შესყიდული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო ბაჟს, დაუბრუნებად გადასახადებს, საწარმომდე ტრანსპორტირების, ადგილმდებარეობის მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს;

ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღიარდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით, ან თუ უფრო ნაკლებია, იჯარის დასაწყისისათვის გაანგარიშებული მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით;

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება აკუმულირებული ცვეთის თანხით შემცირებული თავდაპირველი ღირებულებით;

ძირითადი საშუალების ცვეთის თანხა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით;

ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულებას და ცვეთის ნორმას ადგენს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისია.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შემენილი საქონელი შემოსავალში ტარდება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღირიცხება მუდმივი აღრიცხვის მეთოდით.

ყოველი თვის ბოლოს გახარჯული და გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური მარაგი ჩამოიწერება ინდივიდუალური მეთოდით, შიდა საწყობის პროგრამების და ივენტარიზაციის მეშვეობით.

8. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, რომლის ოდენობა დადგენილია წესდებით და შეადგენს 20 435.00 ლარს.

9. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით;

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. სს „ქობულეთის სამედიცინო ცენტრს მიწა და შენობა-ნაგებობა აქვს აღებული იჯარით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან. საიჯარო ქირის წლიური გადასხადი შეადგენს 50000 ლარს.

2. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, მასალის შესყიდვის წლისა და თვის გავალისწინებით.

3. სავალუტო კურსთა შორის სხვაობა წარმოშობილია ძირითადი საშუალების შეძენისას დოლარის ექვივალენტი ლარში გადაყვანის გამო და სესხისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო გადაფასების გამო.

4. ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში 2019 წელ, გამოწვეულია 2016 წლის კაპიტალში ცვლილებების შეტანის გამო .

. 5. 2019 წლის მიმდინარე და წინა საანგარიშგებო პერიოდებში არასაოპერაციო ზარალის წარმოშობის მიზეზია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მონიტორინგის შედეგად სამედიცინო შემთხვევების კორექტირებები და ჯარიმები. აღნიშნული ზარალი ბუღალტერიაში აისახა განსაკუთრებულ ხარჯების ანგარიშზე 9120-ზე.

6. საწარმო არ ქმნის საექვო ვალების რეზერვს, ვინაიდან ჩვენს ძირითად დებიტორს წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვა, საიდანაც გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად, თუმცა ბოლო სამი თვის შეფერხებით.

7. საწარმოს წარმომადგენლობითი ხარჯების ჯამი არ შორდება საანგარიშგებო პერიოდის ერთობლივი შემოსავლის 1%-ს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2019 წლის 31 დეკემბერს.

სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრის

გენ.დირექტორი:

ა.მიქელაიშვილი